პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 17 თებერვალი, 1990 წელი ● № 8 (2885) ● СУББОТА, 17 ФЕВРАЛЯ 1990 г.

НА СОВЕЩАНИИ ПОЛИТРАБОТНИКОВ МВД ГССР

## Сосредоточить усилия на конкретных задачах

10 ФЕВРАЛЯ 1990 года состоялись совещания политработников министерства внутренних дел республики, на которых были подведены итоги проделанной работы за прошедший год и намечены задачи на 1990 год.

На совещаниях было указано, что в первую очередь необходимо качественно повысить политическую культуру и активизировать участие личного состава в общественно-политической жизни республики. В этих условиях следует максимально привлечь сотрудников к выборной кампании в апреле и июне, оказать содействие и помощь в выдвижении наиболее достойных из их в народные депутаты, подготовке предвыборных программ. По данному вопросу рекомендации имеются, однако движения пока не видно.

Следующей ступенью должны стать встречи, отчеты, выступления сотрудников, выдвинутых кандидатами в народные депутаты, перед населением, в трудовых и учебных коллективах. Здесь также свое слово необходимо сказать замполитам.

Большой комплекс партийно-политических мероприятий предстоит провести по подготовке и проведению XXVIII съезда Компартии Грузии и XXVIII съезда КПСС. В этих целях в феврале предлагается провести повсеместно партийные и комсомольские собрания с повесткой дня: «О ходе перестройки и задачах партийных организаций системы МВД ГССР». Вместе с секретарями партийных организаций особое внимание необходимо уделить тщательному анализу роли каждой парторганизации в выполнении решений XXVII съезда Компартии Грузии и XXVII съезда КПСС, обсуждению проекта платформы ЦК КПСС к XXVIII съезду партии.

Под этим же углом следует активизировать в нынешнем году практику заслушивания отчетов коммунистов по-прежнему с учетом повышения ответственности перед парторганизациями коммунистов-руководителей.

С учетом решения ЦК Компартии Грузии о сроках проведения отчетно-выборной кампании провести ее следует организованно и в сжатые сроки. Для этого готовить кандидатуры выборного партийного актива следует уже сейчас.

Как никогда важно в сегодняшних условиях глубоко вникать в настроения коммунистов, правильно, с партийных позиций руководить ими. Для этого необходимо тщательно разбираться с каждым критическим замечанием, высказанным на собраниях, партийных бюро, усилить индивидуальную работу с членами КПСС. Следует максимально привлекать в ряды КПСС молодых, энергичных сотрудников.

До отчетно-выборной кампании целесообразно упорядочить структуру парторганизаций.

Поступательного развития требуют меры по укреплению связи с общественностью и населением. Опыт организации этой работы у нас есть, необходимо лишь придать ей еще большую системность и активность.

В условиях активизации политической жизни в республике, борьбы за умы и сердца наших граждан, в т. ч. и сотрудников органов внутренних дел, особое значение приобретает пропагандистская работа. Главное требование в ней — конкретность и убедительность. В первую очередь, это развенчание различного рода слухов и измышлений, недопущение пассивности и пораженческих настроений. Больший акцент необходимо делать на пропаганде примеров образцового выполнения служебного долга.

Следует активнее вести интернациональную пропаганду, разумно сочетая ее с чувством патриотизма и любви к Родине.

Больше внимания требуют молодые сотрудники органов внутренних дел. Задача партийных, комсомольских организаций способствовать их профессиональному становлению путем активного вовлечения в служебную и общественную деятельность. Необходимо преодолевать формализм в системе индивидуального воспитания и наставничества.

В условиях моральных и физических перегрузок нельзя забывать о работе по привитию психологической устойчивости. Этому в значительной мере должны способствовать культурно - массовые мероприятия, меры материального стимулирования.

Необходимо повышать профессиональный уровень, приобретать юридические знания и самим политработникам. Возможность для этого есть.

Главным требованием в текущем году, было подчеркнуто на совещаниях, является мобилизация всех усилий для стабилизации обстановки в республике.

## На сессии Верховного Совета СССР

14 ФЕВРАЛЯ в Москве открылась третья сессия Верховного Совета СССР. Сессию открыл Председатель Верховного Совета СССР М. С. Горбачев.

Перерыв между сессиями — вовсе не время отдыха, а лишь другая форма депутатской работы. И в прошедшие «парламентские каникулы» народные депутаты СССР трудились особенно интенсивно: в комитетах и комиссиях нашего парламента шли горячие дискуссии по целому ряду основополагающих законопроектов, которые предстояло вынести на обсуждение третьей сессии Верховного Совета СССР.

Она открылась, как и было намечено, 14 февраля в 10 часов утра в Кремле совместным заседанием Совета Союза и Совета Национальностей. Открылась в обстановке деловитости и в то же время озабоченности, вызванной особенностями текущего момента. Об этом напомнил, открывая сессию, Председатель Верховного Совета СССР М. С. Горбачев.

## კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე

### რესპუბლიკაში ოპერატიული ვითარების, 1989 წლის განმავლობაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის პირობებში საქართველოს სსრ შს ორგანოებისა და ქვედანაყოფების სამსახურებრივი საქმიანობის შედეგებისა და 1990 წელს დამნაშავეობასთან უკომპრომისო ბრძოლის შესახებ

ვ. შადური,
საქ. სსრ შს მინისტრის პირველი მოადგილე შ/ს გენერალ-მაიორი.



გასული წელი როგორც რესპუბლიკისათვის, ასევე შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის იყო ძალიან რთული და დაძაბული. აპრილის ტრაგიკულმა მოვლენებმა, ეროვნებათშორის წარმოქმნილმა კონფლიქტებმა უკიდურესად დაძაბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა.

ერთი სიტყვით, მილიციის ორგანოებს პრაქტიკულად მუშაობა უხდებოდათ რთულ, ექსტრემალურ პირობებში, საჭირო იყო ცივი გონებით, განსაკუთრებული ოპერატიულობით, ძალებისა და საშუალებების სწორი მანევრების, პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით მოქმედება. ცალკეულ შემთხვევებში გვქონდა ხარვეზები და სერიოზული ნაკლოვანებებიც, მაგრამ მთლიანობაში შინაგან საქმეთა ორგანოებმა გაუძლეს გამოცდას. მილიციის ზოგიერთმა ქვედანაყოფმა და მათმა ხელმძღვანელებმა გვიჩვენეს თავიანთი მოვალეობისადმი ერთგულების სანიმუშო სახე, კონკრეტულად, ოპერატიულად და საქმიან ვითარებაში ხორციელდებოდა ჩვენი ურთიერთობები სხვადასხვა შესაბამის სამსახურებთან, ყველა ადმინისტრაციულ ორგანოებთან.

რთულ პირობებში, რომელშიდაც მუშაობა გვიხდებოდა, განუზომლად გაიზარდა მილიციის კადრების მიმართ მომთხოვნელობა. ჩვენ იმის თქმა როდი გვინდა, რომ კადრების სამმართველო უმოქმედოდაა, მიმდინარეობს გარკვეული დადებითი მუშაობა, კადრების შერჩევა, განაწილება და დაწინაურება, რეზერვების ფორმირება, ფუნქციონირებს საატესტაციო კომისია, მეცადინეობები საბრძოლო სამსახურებრივი მომზადების სისტემაში, სპორტული შეჯიბრებები და ა. შ. მაგრამ არასაკმარისად მიმდინარეობს მუშაობა თანამშრომელთა მორალურ-ზნეობრივი მდგომარეობის განმტკიცებისა და მისი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის.

კადრების სამმართველოს და საერთოდ შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელობას სჭირდება სრული შემობრუნება მილიციის საზრუნავთან, საჭიროა მეტი დაფიქრება შერჩევისა და განაწილების საკითხებისადმი და რაც მთავარია ახალგაზრდა თანამშრომელთა აღზრდისა და მათი ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბების საქმეში, რაც ბევრადაა დამოკიდებული სამინისტროს სამსახურების ხელმძღვანელებზე, პოლიტიკურ აპარატებზე, პირველად პარტიულ ორგანიზაციებზე, უფროსების პირად მაგალითზე. დღეს გვერდს ვერ ავუვლით ისეთ შემთხვევებს, როდესაც მილიციის კოლექტივში იგრძნობა დაბნეულობა, სიფხიზლის მოდუნება, დისციპლინის მოშლა, ბრძოლისუნარიანობის დაბალი დონე, პესიმიზმის განწყობილება და ხვალინდელი დღის დაუჯერებლობა, რაც თვალნათლივ დაგვანახა აფხაზეთში და დასავლეთ საქართველოში მომხდარმა მოვლენებმა, იარაღის გატაცების მიზნით რაიონულ და საქალაქო განყოფილებებზე თავდასხმისას. ასე დაიტაცეს ტაბელური იარაღი ზუგდიდის შს საქალაქო, წალენჯიხის, თერჯოლის შს რაიგანყოფილებებიდან. შექმნილ რთულ პირობებში ამ და სხვა განყოფილებების ხელმძღვანელებმა ვერ გამოავლინეს უნარიანობა და ვერ მიიღეს სწორი გადაწყვეტილება. სწორად ვერ განსაზღვრეს ორიენტაცია, ზოგიერთი მათგანი კი მოღალატედ წარმოგვიდგა. აფხაზეთის ამბებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ ოჩამჩირის შს რაიგანყოფილებასთან არსებული დაცვის განყოფილების უფროსი დ. შლარბა, სოხუმის სადგურის სახაზო მილიციის განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული გ. კვარაცხელია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული ვ. ზუხბა, ქვემო ქართლის მოვლენებთან დაკავშირებით მილიციის მაიორი უ. ალიევი, რომელიც უკვე გაასამართლეს და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

მთლად სწორად და აქტიურად არ მოქმედებდნენ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შს სამმართველოს ზოგიერთი მუშაკები, როდესაც „ადამონ ნიხასის" არაფორმალური გაერთიანების წარმომადგენლები ატარებდნენ აქციას საოლქო საბჭოს უკანონო სესიის მოსაწვევად, რადიკალური გადაწყვეტილებების მისაღებად და სხვადასხვა მიტინგებს, რამაც გაამწვავა საზოგადოებრივი აზრი და მოსახლეობა სჯვალალო მდგომარეობამდე მიიყვანა. მათ მუშაობაში ადგილი ჰქონდა საგანგებო შემთხვევებსაც, რასაც სათანადო შეფასება არ მიეცა, იყო მოქალაქეებიდან ქრთამის წაგლეჯის ფაქტები, მოქ. რომელაშვილსა და მაისურაძეს ცხინვალის რაიგანყოფილების უფროსმა გამომძიებელმა, მილიციის მაიორმა მაგიევმა გარკვეული ოდენობის თანხა გამოსძალა. საქმე უკვე სასამართლოს გადაეცა. წარმოუდგენელია შინაგან საქმეთა სისტემაში ასეთ ფაქტებს ჰქონდეს ადგილი. სამინისტროს ხელმძღვანელობა დიდ სინანულს გამოსთქვამს ამ უმსგავსობის მიმართ, რასაც სათანადო შეფასება უნდა მიეცეს.

გასულ წელს სამინისტროს კოლეგიამ პრინციპული შეფასება მისცა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მოქმედებას აფხაზეთის, ქვემო ქართლის და დასავლეთ საქართველოს მოვლენებთან დაკავშირებით, გაანალიზდა დაშვებული შეცდომები. გამოითქვა პრეტენზიები ცენტრალური აპარატისა და მთელი რიგი საქალაქო და რაიონულ განყოფილებათა ხელმძღვანელების მიმართ. ყოველდღიური ცხოვრება მეტ საზრუნავს და საფიქრალს ბადებს და თვისობრივად ახალ პირობებს ქმნის სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობისათვის, ამიტომ ძველებურად მუშაობა შეუძლებელია.

გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს გახშირდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მილიციის მუშაკთა დაღუპვისა და დაჭრის შემთხვევები. ფაქტების ანალიზი მოწმობს, რომ მსხვერპლის თავიდან აცილება შეიძლებოდა, ორგანოს ხელმძღვანელებს მეტი სიფხიზლე და წინდახედულება რომ გამოეჩინათ. საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული თანამშრომლის ტრაგიკული ბედი სერიოზულ ტრამვას აყენებს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს და ამიტომ საჭიროა სათანადო დასკვნების გამოტანა.

რესპუბლიკაში სიტუაციის გართულებამ განაპირობა ის, რომ იძულებული ვიყავით სისტემატიურად პირადი შემადგენლობის ყურადღება გადაგვეტანა იმ რეგიონებზე, სადაც ეროვნებათაშორისი კონფლიქტები ხდებოდა წესრიგის და-

(დასასრული მე-2 გვ-ზე.)

# კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე

(დასასრული)

ცვის მიზნით, რამაც თავისებურად იმოქმედა ბევრი აქტუალური პრობლემის გადაწყვეტის ხარისხზე. რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა გაიზარდა 6,4 პროცენტით, მძიმე დანაშაული კი 19,8 პროცენტით.

საქართველოს მშრომელები სერიოზულად აღშფოთებულნი არიან პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა მკვეთრი ზრდით. მკვლელობებით, სხეულის განზრახ დაზიანებებით, გაუპატიურებით, ხულიგნობის ფაქტებით. გასულ წელს მომხდარმა მკვლელობამ 36,6 პროცენტით მეტი შეადგინა შარშანწინდელთან შედარებით, მკვლელობის მცდელობამ 41,2 პროცენტით. ამჟამად ხალხს სრული საფუძველი გააჩნია თქვას, რომ „ჩემი მილიცია მე არ მიცავს". ბევრი დანაშაული ჩადენილია თავხედურ, ულმობელ ფორმებში, რაც სოციალურად საშიშ ხასიათს ატარებს. სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა 90 პროცენტამდე არ ატარებს კრიმინალურ ხასიათს. ისინი შემთხვევითი ჩხუბის, საყოფაცხოვრებო კონფლიქტების, ხულიგნობის ნიადაგზე ხდება, ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ადგილობრივი, პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოები სუსტად ატარებენ აღმზრდელობით-პროფილაქტიკურ მუშაობას მოსახლეობაში, უხარისხოა მშრომელთა კოლექტივების, საზოგადოების, მილიციის-თანამშრომლების და განსაკუთრებით უბნის ინსპექტორთა აღმზრდელობითი ყოფის ყველა ინსტიტუტის მუშაობა. დროა პროფილაქტიკური სამმართველოს მუშაკები გამოვიდნენ თავიანთი კაბინეტებიდან და პრაქტიკულ საქმიანობას მოჰკიდონ ხელი. საჭიროა, ისინი შეხვდნენ შრომით კოლექტივებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს მიიღონ საჭირო ინფორმაცია მიკრორაიონებში შექმნილ მორალურ კლიმატზე და ჩაატარონ მრავალმხრივი ინდივიდუალური პროფილაქტიკა.

სამინისტროს სერიოზულად აწუხებს პირადი და სახელმწიფო ქონების ქურდობის რიცხვის ზრდა. მისი რაოდენობა გაიზარდა შესაბამისად 31,7 პროცენტით და 63 პროცენტით. ჩვენი მინუსი აქ ის არის, რომ მილიციის ორგანოებმა არ იციან ადრე ჩადენილ დანაშაულთა შესახებ და გამოდის რომ ჩვენ კი არ ალვკვეთთ დანაშაულს, არამედ კუდში მივყვებით მას, ვერ ვფლობთ იმ პროცესებს, დამნაშავეთა სამყაროში რომ მიმდინარეობს. მართალია საგანგაშოა, რომ 60 პროცენტით გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებათა გატაცების ფაქტები, მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის შესაბამისი შინაგან საქმეთა სამსახურები განგაშს არ სტეხენ და გადამწყვეტ ზომებს არ ღებულობენ.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ არ არის სათანადო და ოპერატიული რეაგირება მოქალაქეთა განცხადებებზე, დანაშაულის შემთხვევის ადგილას ძირითადად გადიან მეორეხარისხოვანი თანამშრომლები გამომძიებლის გარეშე, ისიც დაგვიანებით და არ აგროვებენ მამხილებელ მასალებს. კვლავ აქვს ადგილი მანკიერ ანტისახელმწიფო პრაქტიკას — აღრიცხვიდან ქურდობის ფაქტების დამალვას. 1989 წელს პროკურატურის ორგანოების და ჩვენს მიერ ჩატარებული შემოწმებით მარტო ქ. თბილისში გამოვლინდა 130 დამალული დანაშაული, ჩემი აზრით ქურდობა და ძარცვა იმიტომ იზრდება, რომ შევასუსტეთ ე. წ. „კანონიერი ქურდების" წინააღმდეგ ბრძოლა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი გასული წლის განმავლობაში მოზარდთა სამართალდარღვევების აღმოსაფხვრელად ცუდად არ ვმუშაობდით, მაინც ვერ შევძელით 1988 წლის დონის შენარჩუნება, ამ სახის დანაშაული გაიზარდა 24,2 პროცენტით. ძირითადად თბილისში, რუსთავში, წყალტუბოში, ბოლნისში, გურჯაანში და სხვა რაიონებში. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა შემუშავდეს არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პროფილაქტიკის კომპლექსური პროგრამა და იგი გამოვიტანოთ ხალხის სამსჯავროზე.

კვლავ შეშფოთებას იწვევს რესპუბლიკის ავტომაგისტრალებზე შექმნილი მდგომარეობა. ავტოსაგზაო შემთხვევათა რაოდენობა გაიზარდა 8,2 პროცენტით, ადამიანის მსხვერპლი 18,6 პროცენტით, ამ სიტუაციაში სახელმწიფო ავტოინსპექცია მთელ რიგ შემთხვევებში მდგომარეობას ვერ ფლობს, იჩენს ინერტულ პოზიციას. უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში მეორე პლანზე გადაინაცვლა ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლამ. წლის მანძილზე გამოვლინდა 15 ათასზე მეტი მთვრალი მძღოლი, რომლებმაც მოახდინეს ასზე მეტი ავარია მსხვერპლით. ავტოინსპექციის სამმართველოს სერიოზული მუშაობა მართებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა მომთხოვნელობის გაზრდა და თვითშეგნება მოვალეობისადმი.

რესპუბლიკის ავტოინსპექციამ უნდა გააუმჯობესოს აღმზრდელობითი მუშაობა პირად შემადგენლობაში და უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადოს მენამცეცეებს, მექთახორებს და ყველა მათ ვინც თანამდებობას ბოროტად იყენებს.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების გახსნისა, სოცსაკუთრების დატაცების და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს აპარატის მუშაობაში იგრძნობა შენელება და მდორე სვლა საქმოსნების და მექრთამეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ნაკლებად ხდება არაშრომითი შემოსავლის გზების გადაკეტვა, სოციალური პარაზიტიზმის აღმოფხვრა და სხვა. გამოვლენილი დანაშაულის რაოდენობამ იკლო 3,9 პროცენტით, მათ შორის მძიმემ 7 პროცენტით. სოცსაკუთრების დატაცება გამოვლინდა 5,7 პროცენტით ნაკლები, შემცირდა მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ხაზით დანაშაული 35,6 პროცენტით ნაკლები გამოვლინდა. ერთადერთი, სადაც შედარებით გაიზარდა მაჩვენებელი — ეს სპეკულაციაა. შემცირდა მექრთამეობის, საქმოსნების წინააღმდეგ ბრძოლა რუსთავში, მარნეულში, გურჯაანში, მცხეთაში და ზოგიერთ სხვა რაიონში. და ეს მაშინ, როდესაც რესპუბლიკა ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის იბრძვის და მატერიალური დოვლათის დაცვა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

სერიოზული დარღვევები და მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ხდება კოოპერატივებში, სადაც მიშვებულია ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიში. მოქალაქეთა განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს კოოპერატივების მიერ საქონელზე დაწესებული მაღალი ფასები. ხშირად კოოპერატივები დანაშაულის ჩადენის მიზნით ამყარებენ სარეგიონთაშორისო კავშირებს. გასულ წელს ქალაქ თბილისში კოოპერატივი „იმედის" წევრმა თ. ოყროშიძემ ჯინსის ქსოვილის შესაძენად 274 ათასი მანეთის ფიქტიური დოკუმენტი შეადგინა ვოლგოგრადის კოოპერატივ „ლიდიასთან" შემდეგ კი შეიტანა იგი კაჭრეთის სამკერვალო ფაბრიკაში.

უკვე მერამდენედ გვიხდება იმის თქმა, რომ სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი დანაყოფების უმეტესობა ქმნის სტაბილურობის ვითარებას მაჩვენებლების მანიპულაციით. ორი წლის განმავლობაში თითქმის ერთი და იგივე მაჩვენებლებით ფიგურირებენ თბილისის ლენინის, 26 კომისრის, კიროვის, ორჯონიკიძის, ახალციხის, ახმეტის, გარდაბნის, დუშეთის და სხვა განყოფილებები.

ბოლო დროს ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიპყრობილია ორგანიზებული დანაშაულისაკენ, თუმცა თავის დროზე არ ვცნობდით მათ, იმ მოტივით რომ, ჩვენს საზოგადოებაში თითქოს არ შეიძლება არსებულიყო საამისო სოციალური ბაზა. ამით საშუალება მიეცა ამ ავადმყოფობის ფართოდ გავრცელებას. განსაკუთრებით საქმე ეხება სარეგიონთაშორისო კავშირების მქონე სერიოზულ დანაშაულობებს, პირწავარდნილ საქმოსნებს, კომბინატორებს წარმოებისა და მატერიალური დოვლათის შექმნისა და რეალიზაციის სფეროში. აქ ბევრის გაკეთება შეიძლება სამინისტროს ოპერატიული სამსახურების და სხვა სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთმოქმედების გაუმჯობესების შედეგად. ამ ამოცანაზე ყურადღება გაამახვილა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა ვ. ვ. ბაკატინმა სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე. ჩვენი მოვალეობაა ხელი შევუწყოთ ახლად შექმნილ მეექვსე განყოფილებას, რათა მისი ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ უფრო მიზანსწრაფული და შედეგიანი გახდეს.

ალბათ ძნელია ერთგვაროვნად შეფასდეს გამასწორებელ საქმეთა სამმართველოს გასული წლის მოღვაწეობა. მათ შესძლეს რთულ ვითარებაში სათანადო კონტროლი გაეწიათ შექმნილი სიტუაციისათვის. მიუხედავად ამისა სამსახურს თავის მუშაობაში ჯერ კიდევ გააჩნია სერიოზული ხაკლოვანებები. კერძოდ, კოლონიებში საერთო დანაშაულის ხვედრითი წილი გაიზარდა 28,5 პროცენტით. ადგილი ჰქონდა პატიმრების გაქცევას. ღონისძიებებმა რომელიც დასახული და გატარებულ იქნა სამმართველოს მიერ გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში საჭიროა საგრძნობლად გაიზარდოს აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მუშაობა. ამ დაწესებულებების ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა მჯავრდებულები ჩაბმულ იქნენ სასარგებლო შრომაში და არ ირღვეოდეს სოციალისტური კანონიერება.

მიმდინარე წელს ადგილობრივმა მილიციის განყოფილებებმა უფრო აქტიურად და ორგანიზებულად უნდა გაშალონ მუშაობა მოქალაქეების მიერ უკანონოდ შენახული ცეცხლმსროლელი იარაღის ამოღების მიზნით. არა ერთი და ორი ფაქტია ფიქსირებული როდესაც მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა და სხეულის დაზიანება ჩადენილია ცეცხლმსროლელი და ცივი იარაღის გამოყენებით და მათ შორის გატაცებული იარაღით.

გასულ წელს საგამოძიებო სამსახურის მუშაობაში მივაღწიეთ პატარა პოზიტიურ ძვრებს. 13 ერთეულით შემცირდა სისხლის სამართლის საქმეთა დამატებით გამოძიებისათვის დაბრუნება, შემცირდა შეწყვეტილ საქმეთა რაოდენობა. გაიზარდა კოლექტივებში წარდგინებების გაგზავნა. მაგრამ ამ სამსახურის საქმიანობაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებსაც. ასეულობით საქმე შეჩერებულია დამნაშავე პირების ძებნის მოტივით. ბევრია კიდევ მოქალაქეთა უკანონოდ დაკავებისა და დაპატიმრების ფაქტები, განსაკუთრებით ქალაქ თბილისში, აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში და ტრანსპორტის სამმართველოში.

1989 წელს სერიოზული სიძნელეები გადაიტანა თბილისის მილიციის გარნიზონმა, რომელიც დედაქალაქში წესრიგს იცავდა მიტინგებისა და გაფიცვების პირობებში. მის პირად შემადგენლობას უხდებოდა რესპუბლიკის რეგიონებში ყოფნა. სერიოზული დახმარების გაწევის მიზნით რითაც მათ დაიმსახურეს დადებითი შეფასება. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ დედაქალაქში მიმდინარეობს ყველა დანაშაულისა და კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების ზრდა. იმატა მკვლელობის, მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის, ავტოტრანსპორტის გატაცების, სიკვდილიანობით ავტოსაგზაო შემთხვევათა ზრდის ფაქტებმა. სერიოზულ პრეტენზიებს ვუყენებთ ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის, საბურთალოს, პირველი მაისის და სხვა განყოფილებებს, სადაც დაბალ დონეზე დგას დანაშაულის გახსნის საქმე, ოპერატიულ სამძებრო საქმიანობა.

ალბათ არ ვიქნები სწორი, თუ არ შევეხები ისეთ მწვავე და ყოველდღიურ პრობლემას, როგორიცაა არაფორმალური გაერთიანებების საქმიანობა. ამ მოძრაობის იგნორირება არ შეიძლება, რადგან ისინი სარგებლობენ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერით და ბევრ აქტუალურ საკითხებს აყენებენ, რომელსაც გადაწყვეტა სჭირდება. ერთადერთი სწორი ტაქტიკა — ეს არის მოთმინებითი დიალოგი და გონივრული კომპრომისი. ასეთ ხაზს ატარებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და შინაგან საქმეთა სამინისტრო.

დღევანდელ პირობებში საჭიროა უფრო რეალურად შევხოთ სამინისტროს სამსახურების მუშაობის მდგომარეობას. პირველ რიგში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და პროფილაქტიკის სამმართველოებს. ისინი ალბათ გრძნობენ, რომ უბნის ინსპექტორები და მილიცია, რომელიც საპატრულო სამსახურს ეწევა უფრო აქტიურად უნდა მოქმედებდეს. ამ ორი სამსახურის მოღვაწეობა მთლიანად ხალხის სამსახურში უნდა იყოს.

საჭიროა ხაზი გაესვას, იმ გარემოებას, რომ ბოლო დროს შესუსტდა საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება მილიციის ორგანოების მიმართ, ამის გარეშე კი მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელია. საჭიროა დავაჩქაროთ მილიციის დამხმარე მუშა რაზმების ფორმირება, როგორც ეს არის ქვეყნის მრავალ ქალაქში. ძირითადი აზრი გამოიხატება იმაში, რომ ქ. თბილისის და რესპუბლიკის მსხვილ წარმოება-დაწესებულებებში უნდა შეიქმნას მუდმივი რაზმები, რომლებიც გამოყენებული იქნებიან მხოლოდ ოპერატიული ვითარების გართულების შემთხვევაში.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1989 წლის 5 აგვისტოს კოლეგიის გადაწყვეტილება არასრულყოფილად სრულდება. არ არის გადაჭრილი საკითხები ორგანოების ტრანსპორტით, ტექნიკით, კავშირგაბმულობის საშუალებით მომარაგების შესახებ. ბევრი საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტის საქმეში მთავარი როლი ეკუთვნის საორგანიზაციო-საინსპექტორო განყოფილებას.

ბოლო დროს ჩვენი მისამართით გამოითქვა არც თუ უსაფუძვლო კრიტიკა, საქართველოში გახშირებული მკვლელობების, ქურდობის, ძარცვის, უკანონოდ შენახული ცეცხლმსროლელი იარაღის ორგანიზებული ამოღების თაობაზე და სხვა. ალბათ საჭირო არაა თავის მართლება და იმის თქმა, რომ გასულ წელს უძნელეს პირობებში გვიხდებოდა მოღვაწეობა და ბევრ შემთხვევაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, პირადი შემადგენლობა ჩამოშორებული იყო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას. დღეისათვის პირობები უკეთესია და უფრო მტკიცე შემართებით წარვმართავთ ჩვენ საქმიანობას. კანონიერებისა და წესრიგის დაცვის მიზნით, ამიტომ საჭიროა მთელი პირადი შემადგენლობის დარაზმვა ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ. ჩვენს წინაშე დგას ყოვლად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანები. დღეს, როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს ძველი შეხედულებების მსხვრევა და განახლების პოზიტიური პროცესები, ყველა უნდა დავრჩეთ მოვალეობის ერთგულნი და მართალნი ხალხის წინაშე, განვამტკიცოთ სამსახურებრივი დისციპლინა და გავუფრთხილდეთ თითოეულ თანამშრომელს. ჩვენი ორგანოების ყველა შესაძლებლობა ჩავაყენოთ ხალხის სამსახურში.

## О СОСТОЯНИИ СОЦЗАКОННОСТИ И ДИСЦИПЛИНЫ В ОРГАНАХ И ПОДРАЗДЕЛЕНИЯХ ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГРУЗИНСКОЙ ССР ЗА 1989 ГОД

**З. АМИЛАХВАРИ,**
**майор милиции, начальник ИЛС УК МВД ГССР.**



**В РЕЗУЛЬТАТЕ** настойчивой и целенаправленной работы руководства МВД ГССР, политического отдела, отраслевых служб ЦА министерства по укреплению соцзаконности и дисциплины в органах и подразделениях внутренних дел республики в прошлом году в этой сфере достигнуто определенное улучшение положения. За 1989 год в 56-и горрайорганах не было допущено фактов нарушения соцзаконности, укрепилась служебная дисциплина, наметились положительные сдвиги в оперативной деятельности.

Подавляющее большинство сотрудников ОВД правильно понимают предъявляемые требования, проявляют высокую сознательность и в условиях повсеместного осложнения оперативной обстановки, зачастую в экстремальных условиях с честью выполняют свой долг. За образцовое выполнение служебных обязанностей и достигнутые успехи в прошлом году более 2.500 сотрудников поощрены ценными подарками, почетными грамотами, отмечены благодарностями и нагрудными знаками. Среди них личный состав уголовного розыска и БХСС, следователи и сотрудники ГАИ, инспектора и работники охраны.

Вместе с тем, наряду с положительными сдвигами, состояние соцзаконности и дисциплины в ряде горрайорганов не отвечает сегодняшним требованиям. Анализ статистических данных о нарушениях соцзаконности и дисциплины, а также совершении преступлений, не связанных с исполнением служебных обязанностей, показывает, что наибольшее количество нарушений соцзаконности допущено работниками следственных аппаратов, уголовного розыска, УИД, участковыми инспекторами. По подразделениям наибольшее число нарушений соцзаконности допущено сотрудниками УВД Тбилгорисполкома, МВД Абхазской и Аджарской АССР.

Доминирующее положение среди фактов нарушения соцзаконности занимают укрытия преступлений от государственного учета, наибольшее число которых отмечено в РОВД им. 26 комиссаров г. Тбилиси и Сухумском ГОВД (по пять), Болнисском РОВД (4), Ленинском и Первомайском РОВД столицы республики (по 3). Несмотря на принимаемые меры в ряде ГОРОВД все еще допускаются факты необоснованного привлечения граждан к уголовной ответственности, их необоснованного доставления и водворения в ИВС, медвытрезвитель, нарушения сроков содержания под стражей и сроков предварительного следствия или дознания. Часты случаи вступления в недозволенную связь с осужденными.

Как показывает анализ, нарушения соцзаконности являются следствием нравственной и профессиональной деформации отдельных сотрудников, отсутствия отлаженного механизма служебного контроля и спроса со стороны руководителей, которые в отдельных случаях не являются примером для подчиненных, совершая дисциплинарные проступки. За различные нарушения в отчетном году в дисциплинарном порядке наказано 64 начальника ГОРОВД и их заместителей. Это создает условия для разного рода злоупотреблений сотрудниками по службе, приводит к нарушениям соцзаконности, а в отдельных случаях и к уголовным преступлениям, которых в прошлом году совершено 23. Причем, наибольшее их число совершено работниками УИД, УООП, управ-

(Окончание на 3-й стр.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფად, ოპერატიულად

# ერთ დღეში დააკავეს

...**წერილის** დასაწყისშივე გვინდა წარმოგიდგინოთ 26 კომისრის შს რაიგანყოფილების ის თანამშრომლები, ვინც ყველაფერი გააკეთა რათა ბოროტმოქმედნი, ძებნილი რეციდივისტები დაეკავებინათ და მართლმსაჯულების წინაშე წარედგინათ. აი ისინი:

სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი ს. ნერსესიანი, უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის კაპიტანი პ. პეტროსიანი, ოპერრწმუნებულები: მილიციის უფროსი ლეიტენანტები თ. არსენიძე და ვ. მონასელიძე. ალბათ ძალზე ძნელი იქნება რაიმე ნაკლი გამოუძებნოს ადამიანმა ამ „კვარტეტის" წევრებს სამსახურებრივ საქმიანობაში. განა შეიძლება ჩამოითვალოს ყველა ის საქმე, რომელიც მათ მიერ არის გახსნილი. მათ ხომ ბევრჯერ სიცოცხლის რისკის ფასად დაუკავებიათ მრავალი ბოროტმოქმედი ამიტომაცაა, რომ განყოფილების უფროსის, მილიციის პოლკოვნიკის ნ. მგალობლიშვილის სამუშაო მაგიდაზე დევს საპატიო წიგნი, სადაც განყოფილების მოწინავეთა გალერეას პირველ რიგში ამშვენებს ამ თანამშრომლების ფოტოები.

ახლა გაგაცნობთ ძებნილთა „საგმირო საქმეებს", საიდანაც მკითხველი მიხვდება თუ რა საშიშ ბოროტმოქმედებთან ჰქონდათ საქმე მილიციის თანამშრომლებს. ს. ჰ. ადიგენის მკვიდრია, ქურდობისათვის რამოდენიმეჯერ იყო ნასამართლევი, ბოლოს ყაჩაღობა ჩაიდინა, დაკავების დროს წინააღმდეგობა გაუწია მილიციის მუშაკებს და მიიმალა. თბილისელი ი. კ. იძებნებოდა ჩადენილი ბოროტი ხულიგნობისათვის. ანალოგიური დანაშაულისათვის მას ეძებდა ქობულეთის მილიციაც. მანაც წინააღმდეგობა გაუწია მილიციის მუშაკებს და მიიმალა... თბილისელია ს. ი.-ც. იგი ქურდობისათვის რამოდენიმეჯერ გაასამართლეს. ბოლოს გადაწყვიტა სხვისი ავტომანქანით „გასეირნება", მაგრამ ალღომ უმტყუნა... თუმცა პატიმრობის ადგილი არ მოეწონა და მალე თბილისში ჩამოვიდა. რასაკვირველია მასზედაც გამოცხადდა ძებნა...

სამივე ძებნილის სქელტომიანი საქმეები დაურიგდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს. 26 კომისრის შს რაიგანყოფილების ოპერატიულ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა ნ. მგალობლიშვილი. საქმის ცოდნამ, ჩეკისტის გამოცდილებამ და რაც მთავარია საზრიანმა, ოპერატიულმა მუშაობამ თავისი გააკეთა — ერთ დღეში ძებნილები დააკავეს...

საღამოხანს ერთ-ერთი მათგანის ს. ი-ის დასაკავებლად მისულ მილიციის მუშაკებს ქალის კივილი მოესმათ. ოპერატიული ჯგუფის წევრები იმ დროს შეცვივდნენ ბინაში, როდესაც გაბოროტებული ს. ი. ფულის გულისთვის საკუთარი შვილების დედას ახრჩობდა...

**ბ. ბურამიშვილი.**



**ავტორის ფოტო.**

---

## О СОСТОЯНИИ СОЦЗАКОННОСТИ И ДИСЦИПЛИНЫ В ОРГАНАХ И ПОДРАЗДЕЛЕНИЯХ ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГРУЗИНСКОЙ ССР ЗА 1989 ГОД

**(ОКОНЧАНИЕ)**

ления охраны, уголовного розыска, сотрудниками УВД Тбилгорисполкома и МВД Абхазской АССР.

Причиной нарушения соцзаконности и совершения преступлений нередко становится злоупотребление алкоголем со стороны сотрудников, число которых несмотря на некоторое уменьшение, остается значительным. За употребления спиртных напитков и различные нарушения в состоянии опьянения в прошлом году наказано 90 сотрудников, в том числе 20 офицеров.

Некоторые руководители сами подают подчиненным недостойный пример, выступая в роли организаторов застолий, что также вызывает негативные последствия.

В марте 1989 г. пожарный СПВЧ-2 ОПО УВД Тбилгорисполкома рядовой в/с Д. Пилиев, находясь в состоянии опьянения, совершил грабеж.

В августе 1989 г. милиционер подразделения по охране сооружений Тбилводопровода, находясь в нетрезвом состоянии, из табельного оружия ранил гражданина.

Определенное негативное влияние на состояние соцзаконности и дисциплины оказала создавшаяся в республике напряженная обстановка. В условиях повсеместного осложнения оперативной обстановки, значительной активизации противоправной деятельности отдельных групп граждан, наши сотрудники часто оказываются в экстремальных ситуациях, вынуждающих принимать нестандартные решения.

Как показала практика, не все сотрудники ОВД оказались готовыми к подобным ситуациям как физически, так и в профессиональном плане. Вследствие этого наряду с положительными примерами самоотверженности работников милиции, имели место факты проявления малодушия, трусости, преступного бездействия, а в отдельных случаях прямого предательства интересов службы.

Так, 1 апреля 1989 г. группа сотрудников Зугдидского РОВД, возвращавшаяся из Гудаутского района в пос. Новый Афон, не приняла мер по пресечению хулиганских действий со стороны гражданских лиц, нападавших на автобус с детьми.

25 июня с. г. участковый инспектор Болнисского РОВД старший лейтенант С. Мамедов не пресек групповое хулиганство на колхозном рынке г. Болниси.

Во время июльских событий в Абхазской АССР руководители и сотрудники ряда горрайорганов автономной области и Западной Грузии не сумели обеспечить наведение надлежащего общественного порядка на обслуживаемых территориях и допустили факты захвата как изъятого у населения, так и табельного оружия. Допущены факты захвата табельного оружия у сотрудников в г. Цхинвали и на территории области.

Особенно тревожными и нетерпимыми являются наблюдаемые факты размежевания сотрудников ОВД по национальному признаку и отдельные случаи проявления отчужденности и враждебности между ними. Подобные факты имели место в Абхазской АССР, в районах Нижнего Картли и в Юго-Осетии.

Поддавшись провокационным призывам экстремистски настроенных лиц. некоторые сотрудники милиции встали на путь прямого предательства интересов службы, способствовали массовым беспорядкам, а в отдельных случаях сами принимали в них активное участие.

За участие в массовых беспорядках за отчетный год к уголовной ответственности привлечены начальник ИГПН Болнисского РОВД майор в/с У. Алиев, начальник отдела охраны при Очамчирском РОВД майор милиции Д. Шларба, инспектор ОУР МВД Абхазской АССР старший лейтенант милиции В. Зухба и милиционер ППС Сухумского ГОВД рядовой милиции В. Гвинджия.

Изложенное является следствием серьезных упущений в воспитании личного состава. Многие руководители местных органов, повседневный кропотливый труд с подчиненными подменяют методами администрирования, не проявляя должного внимания и настойчивости в индивидуальной работе с ними. Об этом свидетельствует большое число наказанных в таких подразделениях, как Сухумский и Батумский ГОВД, Орджоникидзевский и Сабурталинский РОВД г. Тбилиси, Болнисский РОВД и др.

Для устранения недостатков, имеющихся в деле укрепления соцзаконности и дисциплины, воспитания личного состава в духе неукоснительного исполнения закона и служебного долга руководителям всех рангов необходимо извлечь уроки из допущенных ошибок, исключить формализм и поверхностный подход, наметить и осуществить конкретные меры по усилению работы на этом направлении.

---

**დღეს, მეოცე საუკუნის მიწურულს, ჩვენს გარშემო სულ უფრო და უფრო მეტი ჩვენთვის გაუგებარი მოვლენა ხდება. სკეპტიკოსები მათ კვლავ აუხსნელ მისტიკას თუ მდიდარი ფანტაზიის ნაყოფს მიაწერენ. ქალაქში, ხმა დაირხა, რომ მოქალაქეთა ერთი ჯგუფი რამოდენიმე წუთის განმავლობაში გაოცებული შეჰყურებდა მთაწმინდის თავზე მანათობელ დისკოს, რომელსაც „შინაურულად" მფრინავ თეფშს ვუწოდებთ. ამას წინათ ტელევიზია იუწყებოდა, რომ ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნინოშვილში პოლტერგეისტებმა „ოთარმა" და „ლუდამ" ერთ ოჯახში დაიდეს ბინა, რომ მათ ძლიერ უყვართ ტკბილეული და კეთილგანწყობა აქვთ ოჯახის წევრებთან.**

**რა ხდება?**

**ჰერბერტ უელსის „უხილავი კაცი" ფანტაზიიდან სინამდვილეში ხომ არ ინაცვლებს?**

**მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილია ანომალურ მოვლენათა შემსწავლელი კომისია, რომელსაც ყოველი ახეთი მოვლენა კონტროლზე აქვს და აწარმოებს ღრმა მეცნიერულ კვლევას.**

**რა არის ეს?**

**პასუხი მათზეა. ახლა კი ცხელ-ცხელი ინფორმაცია მცხეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ბოლო დღეებში მიმდინარე ანომალიურ მოვლენაზე, რომლის თვითმხილველიც ამ სტრიქონების ავტორი გახლდათ.**

# სენსაცია დეტექტივის სტილში

## ანუ დაუჯერებელი ამბავი აღწერილი თვითმხილველის მიერ

### მოვლენამდე სამი კვირით ადრე ანუ პირველი კონტაქტი

საღამოს ათი საათი იყო, გვიანი ვახშმის შემდეგ სოსომ, ბავშვთან ერთად ეზოში გაისეირნა. ცოტა ციოდა და ამიტომ სახლში მალე დაბრუნდა. სოსო იღებს დღის პრესას და ადის მეორე სართულზე საძილე ოთახში...

— ირგვლივ ყველაფერი გახურდა, კისრის არეში ვიგრძენი საშინელი წვა, კიდევ რამოდენიმე წუთი რომ გაგრძელებულიყო ასეთი სიმხურვალე ალბათ ყველაფერი დაიწვებოდა...

### იმავე დღით

არავის ყურადღება არ მიუქცევია, რომ გათბობის სისტემიდან ვიღაცამ წყალი გამოუშვა, ონკანი კი მჭიდროდ დაკეტა. არც იმისთვის მიუქცევიათ განსაკუთრებული ყურადღება, რომ მეორე სართულზე შესასვლელი კარი დღეში რამდენჯერმე დაკეტვის მიუხედავად ოჯახის დიასახლისს სულ ღია ხვდებოდა... ყველაფერ ამას მერე გაიხსენებენ დეტალურად.

### 11 თებერვალს

დილით მეორე სართულზე უცნაური ხმებია, მთელი ოჯახი პირველ სართულზეა, ზემოთ კი თითქოს ვიღაც დადის. ადიან ზემოთ და ხვდებათ საშინელი სურათი, მთელი კარადები გადმოტრიალებულია, ტანსაცმელი ძირს ყრია, თეთრეული ნაკუწებად არის ქცეული. იწყება პანიკა. გარეშე ძალების მოქმედებაზე ჯერ არავინ არ ფიქრობს, თუმცა ამის ჩამდენიც არავინ ჩანს.

### შუა დღის შემდეგ

უცნაური მოვლენები თავის აქტივობაში შედიან (თუმცა ჯერ ზენიტი შორსაა) წყალში ჩაყრილი იპოვეს სარდაფში ზამთრისათვის მომარაგებული ტომარა ხახვი და კარტოფილი. რამოდენიმე საათის შემდეგ ხმაური კვლავ მეორდება, ამჯერად გასაფენად გამზადებულ სველ სარეცხს ეკიდება ცეცხლი. ცეცხლს აქრობენ, თუმცა ტანისამოსზე და სხეულზე მოხვედრილი ცეცხლი არ წვავს, სველი თეთრეული კი „ცისფერი ალით" იწვის.

### ღამის პირველ საათზე

სიწყნარეა, თუ არ ჩავთვლით ოჯახის წევრთა ენით აუწერელ დაძაბულობას და შიშს. პირველ საათზე „უხილავი ძალა" კვლავ იწყებს მოქმედებას. იხევა სოსოს ტანსაცმელი და საწოლზე გადაფარებული ზეწრები. დაახლოებით ორ საათზე სამზარეულოში შესულ დიასახლისს ონკანის მილი დაგრეხილი ხვდება. იწყება გათენების დაუსრულებელი მოლოდინი. იქნებ ვიღაცამ გვიშველოს, აგვიხსნას რა ხდება...

### იმავე საღამოს

ტელეფონით უკავშირდებიან მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ანომალიურ მოვლენათა კომისიის თავმჯდომარეს თალეს შონიას და დაწვრილებით უხსნიან მომხდარს. ბატონი თალესი სასწრაფოდ მიემგზავრება რუსთავში (თურმე იქაც რაღაცა ხდება) და პირობას აძლევს, რომ მეორე დილით ადგილზე იქნება.

### მანამდე კი

ხანძარი იძენს უფრო მაშტაბურ სახეს, იწვება სოსოს საძინებელი ოთახი...

როგორც შს მცხეთის რაიგანყოფილების სახანძრო ქვეგანყოფილების უფროსმა, შ/ს მაიორმა მ. კახელიშვილმა გვითხრა, (ეს უკანასკნელი თავად გახლდათ ხანძარზე გასული) „ხანძარი გაურკვეველ ვითარებაში და გაურკვეველი მიზეზებით არის გამოწვეული. ალი მოდებულია ფარდაზე, საიდანაც ცეცხლმა გადაინაცვლა ჭერზე და იქედან კედლებზე". მ. კახელიშვილმა აღნიშნა ისიც, რომ იმ დღეს სოფელში საერთოდ არ იყო ელექტრო ენერგიის მიწოდება. ეს ხანძრის კიდევ ერთი გამომრიცხავი პირობაა.

ხანძრის ჩაქრობის შემდეგ სოსო მეუღლესთან და ბავშვთან ერთად მიდის თბილისში, ბიცოლასთან. მთელი ამ დროის განმავლობაში სოფელში არაფერი არ ხდება.

### ღამის ორ საათზე

ტელეფონის გაბმული ზარი არღვევს „სადარაჯოდ" იქ შეკრებილ ნათესავთა და ახლობელთა სიმყუდროვეს...

— თბილისში ცეცხლი მოეკიდა სამზარეულოს მაგიდას და ფარდებს, ისმის ტელეფონის ყურმილში სასოწარკვეთილი ხმა. გამთენიისას სოსო კვლავ უკან ბრუნდება.

### 13 თებერვალს

დილის 10 საათამდე კვლავ სიწყნარეა. შიში უკვე შეუცნობლით გამოწვეულ დიდ ინტერესში იზრდება.

ათ საათზე ცეცხლი ეკიდება საბანს, რომელიც საწოლიდან რატომღაც ამოჩნდა იატაკზე („ეტყობა მთლად მტრულად არ უნდა იყოს განწყობილიო", იყო შემდეგ ხუმრობანარევი რეპლიკა) ერთ საათში ცეცხლი გაუჩნდა სამზარეულო მაგიდას. უნდა აღინიშნოს, რომ დროის მთელი ამ მონაკვეთის განმავლობაში ტელეფონი გამორთულია „ალბათ დაზიანებაა". მაგრამ ამდენი დამთხვევა კიდევ უფრო დიდ შიშსა და ინტერესს බადებს. ბატონი თალესი დაპირებისამებრ მოვიდა. მან ადგილზე ჩაატარა სათანადო გამოკვლევა, მისცა შესაბამისი რჩევა, ახსნა მდგომარეობა, მაგრამ ამაზე ალბათ გამოკვლევის დასრულების შემდეგ გიამბობთ.

### ამ დროს

ჩნდება კიდევ ერთი ხანძარი, ამჟამად იწვის სამზარეულოს კარადა, კიდევ კარგი ბატონ თალესს თან გადამღები ჯგუფი ჰყავს და ეს ხანძარი დაფიქსირებულია.

მეცნიერული გამოკვლევა მიმდინარეობს, სხვის კომპეტენციაში არ ვიჭრებით, მაგრამ ინტერესი იმდენად დიდია რომ მოუთმენლად ველით დასკვნას და თუ კომისიის თანხმობას მივიღებთ ფაქტების ახსნის და დასკვნის ამ ეტაპზე გასაჯაროობაზე, მაშინ მკითხველი ახლო მომავალში გაეცნობა მათ.

**ს. ალავიძე.**

**P.S. როდესაც ეს რეპორტაჟი მზად იყო დასაბეჭდად ტელეფონით გვაცნობეს, რომ ოჯახში ცეცხლი კვლავ გაჩნდა; ამჟამად დაიწვა გაფუჭებული სარეცხის მანქანა!**

**(ობიექტური მიზეზებით სოფლის და „მთავარი მოქმედი პირის" გვარს არ ვასახელებთ)**

---

## Только факты

◆ **11 ФЕВРАЛЯ** сотрудниками Гардабанского РОВД уличен Александр К., житель села Земо Хвити Горнйского района, неработающий, который продал промышленные товары стоимостью 250 рублей за 850. У него же изъяты предназначенные для перепродажи промтомары на сумму 1.500 рублей.

◆ **13 ФЕВРАЛЯ** сотрудниками Октябрьского РОВД задержаны Илья М., ранее судимый, и Омар Р., рабочий РСУ Глданского района, у которых изъято 2 кг «кокнара».

◆ **13 ФЕВРАЛЯ** в ресторане «Гума» Сухумского треста столовых и ресторанов сотрудниками Сухумского ГОВД уличен буфетчик этого же ресторана Мераб Д., который обсчитал покупателя на 12 руб. 60 коп. При осмотре буфета была обнаружена припрятанная выручка от реализации шампанского в сумме 8.189 руб.

# მეგობრობის მისიით

**საჰერო** ლაინერი თელ-ავივის აეროპორტში დაეშვა. დამხვდურთა დიდმა ნაკადმა გაარღვია საფრენ ზოლზე შესასვლელი და თვითმფრინავს მიადგა. ტრაპზე ჩამოსულ მგზავრებს ყვავილებით და ტრანსპარანტებით შეეგებნენ ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელები. „გაუმარჯოს საქართველოს წარგზავნილებს", „კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს მიწაზე", „კიდევ ერთი მეგობრობის ხიდი". აეროპორტში მოსული ათასობით ქართველი ებრაელი დიდი სიყვარულითა და სითბოთი შეხვდა საქართველოდან ჩასულ დელეგაციას, რომელსაც ხელი უნდა მოეწერა ორი ქალაქის ფოთისა და რიშონ-ლეციონის დაძმობილების აქტზე. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ქალაქ ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. კუხალეიშვილი (დელეგაციის ხელმძღვანელი), გემთშემკეთებელი ქარხნის დირექტორი დ. შალალაშვილი, საზღვაო ნაოსნობის ვაჭრობის სამმართველოს უფროსი შ. მეგრელიშვილი და შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი ზ. ტაბიძე. ფოთსა და რიშონ-ლეციონს შორის დაძმობილების ერთ-ერთი ინიციატორი იყო ქალაქის მერი ბრიგადის გენერალი მეირ ნიცანი.

ავტომანქანების საპატიო ესკორტმა გეზი თელ-ავივისაკენ აიღო. რეზიდენციაში, სადაც დელეგაციის წევრები გაჩერდნენ, გულთბილი შეხვედრა მოუწყო ისრაელის კნესეტის (პარლამენტის) წევრმა ეფრემ გურმა. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა გაზეთ „ალია საქართველოდან" დამაარსებელთან და მის რედაქტორთან, ისრაელის შოთა რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარესთან, აბრამ სეფიაშვილთან შეხვედრამ.

დელეგაციის წევრებმა მასპინძლების თანხლებით დაათვალიერეს თელ-ავივის ღირსშესანიშნაობანი. ესტუმრნენ რამდენიმე ქალაქს, ინახულეს ჯვრის მონასტერი. და აი საქართველოს წარგზავნილები ჩავიდნენ ქალაქ რიშონ-ლეციონში, სადაც საზეიმო ატმოსფეროში მოხდა დაძმობილების აქტზე ხელის მოწერა. ქალაქის მერის მეშვეობით მოხდა ჩვენი დელეგაციის წევრის, ფოთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსის ზ. ტაბიძის შეხვედრა ქალაქის პოლიციის მუნიციპალიტეტის შეფთან, პოლიციის პოლკოვნიკ კლაინ მეირთან შეხვედრის მიზანი იყო ორი ქალაქის წესრიგის დამცველი ორგანიზაციების დამეგობრება, მათი სამსახურების მუშაობის სრულყოფისათვის დელეგაციების გაცვლა.

მეირმა სტუმარს გააცნო პოლიციის მუშაობა, დაათვალიერებინა ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული და ელექტრო-სატელევიზიო ტექნიკით. ქ. მეირი. მოუყვა დელეგაციის წევრებს თუ როგორ მიმდინარეობს ბრძოლა ტერორისტული ჯგუფების წინააღმდეგ, ორგანიზებული დამნაშავეობის გამოსავლენად. ყურადღება დაეთმო იმას, რომ პოლიციის მუშაკებს უძნელდებათ პირადი საქმეების შესწავლა იმ ქართველი ებრაელების შესახებ, რომლებიც საცხოვრებლად ჩადიან ისრაელში და კარგი იქნებოდა თუ მათი გამგზავრების წინ ადგილობრივი პოლიცია მიიღებდა ჩვენი რესპუბლიკის შს სამინისტროდან მათ პირად საქმეებს. პოლიციის უფროსმა ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტიც, რომ წლების მანძილზე ქართველ ებრაელებს შორის არ ყოფილა რეგისტრირებული არც ერთი დანაშაულის ფაქტი, აგრეთვე ის, რომ მათთან პოლიციაში მუშაობს ხუთი ქართველი ებრაელი. ერთი მათგანი ხელმძღვანელობს ერთ-ერთ წამყვან პუნქტს (როგორც ჩვენთან ქვეგანყოფილებაა) და როგორც წესი მათ უბანზე ყოველთვის წესრიგი სუფევს.

დიდი ინტერესი გამოიწვია პოლიციის საგზაო-საპატრულო სამსახურის მუშაობამ, თუ მძღოლმა დაარღვია მოძრაობის წესი რამოდენიმე წამში კომპიუტერული სისტემით დგინდება მისი ვინაობა და ტელეტაიპის მეშვეობით რამოდენიმე წუთში ბინაზე მისდის ჯარიმის ქვითარი. თუ ეს თანხა 3-4 საათის განმავლობაში შეტანილი არ იქნება, დამრღვევი მძღოლის ჯარიმას ყოველი გავლილი საათის განმავლობაში ემატება გარკვეული თანხა, ამიტომ დამნაშავე ცდილობს რაც შეიძლება მალე გადაიხადოს ჯარიმა. თუ მძღოლმა ავტომანქანა გააჩერა აკრძალულ ადგილას და მანქანიდან გადავიდა, უკან დაბრუნებისას ის ავტომანქანას ადგილიდან ვერ დაძრავს, რადგან ერთ-ერთ საბურავს პოლიციელი უკეთებს „რკინის სამარცხვინო რკალს". ამ დროს გროვდება ხალხი და ყველა უკმაყოფილებას გამოთქვამს დამრღვევი მძღოლის მიმართ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქალაქში ყველა ღერძულა ხაზი, ავტოსადგომების ადგილები, ყველა შუქნიშანი და ნიშნები დაფარულია სპეციალური ფოსფოროვანი სითხით და მათი განათება საჭირო აღარ არის, რადგან ღამით მას მძღოლები ძალიან კარგად ხედავენ.

დელეგაციის წევრები თავიანთ ოჯახებში შეხვდნენ ქართველ ებრაელებს, დასამახსოვრებელი იყო პოლიციის ერთ-ერთი სამსახურის უფროსის გ. მიხელაშვილის ბინაში სტუმრობა. გამომგზავრების წინ ზ. ტაბიძემ გამცილებლებს უთხრა: „ჩვენ სიყვარული უნდა ვისწავლოთ ერთმანეთისაგან და ერთმანეთს უნდა გავუღოთ გულის კარი".

**გ. მგალობლიშვილი.**





წერილი დასაბეჭდად გამზადებული იყო, როდესაც არასასიამოვნო ამბავი შევიტყვეთ. უეცრად გარდაიცვალა ფოთის შს საქალაქო განყოფილების უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი ზ. ტაბიძე. რედაქციის კოლექტივი თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**ქართველი** კაცი ოდითგანვე მოძმის მოამაგე იყო, ყოველთვის გაგვიწვდია ხელი გასაჭირში მყოფთათვის. დავრდომილი გვინუგეშებია, მტირალთათვის ცრემლი მოგვიწმენდია, უნუგეშოსთვის ნუგეში გვიცია და ასე მოვსულვართ დღემდე, მაგრამ ჩვენივე ხელით შერყვნილმა ბუნებამაც არ დაინდო ადამიანი — სვანეთის, აჭარის სტიქიური უბედურებანი, მიწისძვრა მოძმე სომხეთის რესპუბლიკაში, ათიათასობით უსახლკაროდ დარჩენილი ხალხი, დიდია მათი ტრაგედია, მაგრამ ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი რომ არც სვანს და არც აჭარელს არსად თავი ობლად არ უგრძვნია. თითოეულმა ქართველმა გაითავისა ეს ტკივილი და ოჯახებს ოჯახები მიემატა. გაჩნდა ახალი ანგარიშები, დახმარების ფონდები, სამოსახლოები, უკვე ახლად აშენებული სახლები. საქართველოს სხვა-

# თანადგომა

დასხვა კუთხეში არაერთმა აჭარელმა და სვანმა იპოვა ახალმოსახლეობა. არ დარჩენილა არცერთი ორგანიზაცია, დაწესებულება, სამინისტრო და სამსახური, რომელთაც გარკვეული თანხა არ გადაერიცხოთ სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

შს გამასწორებელ საქმეთა სამმართველოს მიერ საქველმოქმედო მიზნით სხვადასხვა დახმარების ფონდში გადარიცხულია 186,5 ათასი მანეთი. მათ შორის სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა დახმარების ფონდში 5 ათასი მანეთი.

**ქ. ბოლნისში** სტიქიით დაზარალებულთათვის ბინების შესაძენად (შესასყიდად) 50 ათასი მანეთი.

**მარნეულში** სვანეთიდან ჩამოსახლებულ სტიქიით დაზარალებული ოჯახებისათვის 50 ათასი მანეთი. გარდა ამ თანხისა მარნეულში სვანებს გადაეცა თექვსმეტბინიანი საცხოვრებელი სახლი.

**ლენინის** სახელობის ბავშვთა რესპუბლიკურ ფონდში 1,5 ათასი მანეთი.

**რუსთაველის** საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის სასარგებლოდ 60 ათასი მანეთი.

**ქ. რუსთავში** საეკლესიო მშენებლობისათვის 20 ათასი მანეთი.

შს გამასწორებელ საქმეთა სამმართველოს დაწესებულება უი 123/34 სხვადასხვა დროს, სხვადასხვა დახმარებისათვის გადარიცხა 29901 მანეთი, რომელთაგან 1787 მანეთი გასულ წელს სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა დახმარების ფონდში იქნა გადარიცხული. ხოლო მიმდინარე წლის 18 იანვარს ინვალიდთა ასოციაციისა და სტიქიით დაზარალებულთა ფონდში გადარიცხულია 20 000 მანეთი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხეთში მიწისძვრით მომხდარმა ტრაგედიამ მთელი მსოფლიო შეძრა. ქართველს არ დასჭირვებია თქმა — წადი და მოეხმარეო. პირველი სწორედ ქართველი კაცი ჩავიდა სომხეთში და გაიზიარა მოძმეთა ხვედრი. გვახსოვს ის მძიმე დღეები, წარმოდგენაც რომ გვზარავს დღეს. უდედმამოდ დარჩენილი ათასობით ბავშვი, უსისხლოდ დარჩენილი ავადმყოფები. როგორ სწრაფად გაჩნდა რიგები სამედიცინო დაწესებულებებთან. მკლავგაწვდილი დიდი თუ პატარა მზად იყო სისხლის გასაღებად. სხვათაშორის მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამასწორებელ საქმეთა სამმართველოს მიერ სამი თვის განმავლობაში შეგროვდა 43 ათასი მანეთი, სადაც თანხის ნახევარზე მეტი მსჯავრდებულთა პირადი ანგარიშებიდან გადარიცხული თანხა იყო. არაერთმა პატიმარმა გამოთქვა დიდი სურვილი სისხლის გაღების შესახებ, მაგრამ... თუმცა უარს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ხომ სურვილი იყო, დიდი სურვილი თანადგომისა დახმარებოდნენ გაჭირვებაში მყოფთ.

**მ. მოსიძე**

КРЕПНУТ СПОРТИВНЫЕ КОНТАКТЫ

# ВОЗРОДИМ БЫЛЫЕ ТРАДИЦИИ

**НА ТЕРРИТОРИИ** Дманисского РОВД располагается одна из лучших спортивных баз в Квемокартлинской зоне нашей республики. По итогам проводимых ежегодно Грузсоветом «Динамо» конкурсов «За лучшую спортивную базу» она много раз называлась в числе лучших, а в 1987 году спортивный комплекс Дманисского РОВД был признан лучшим в республике. Ежегодно здесь проводятся районные соревнования: по стрельбе, волейболу, настольному теннису, футболу и др. видам. Организуются и товарищеские матчи по разным видам спорта с соседними подразделениями, ОВО, воинскими частями.

После землетрясения в Армении стали традиционными и встречи спортивных команд из РОВД г. Калинино (Армянской ССР) с дманисскими сотрудниками. Так было и недавно, когда в гостях у дманисцев были сотрудники РОВД из г. Калинино вместе с семьями. Радушно встретили их на грузинской земле — «хлебом-солью», ну а затем были спортивные поединки, теплые встречи, беседы и обмен опытом.

Сейчас руководство райотдела (начальник, капитан милиции Р. Кавлелашвили, заместитель по политчасти капитан милиции М. Гараклов), хочет, чтобы такие товарищеские встречи стали традиционными, и к ним присоединились бы еще и сотрудники из какого-нибудь РОВД Азербайджанской ССР.

Да, действительно, так будет лучше. У сотрудников будет возможность поближе познакомиться с друг другом. Ведь совсем не так давно ежегодно проходили традиционные Закавказские игры по различным видам спорта. Давайте же возродим былые добрые традиции!

**А. МАЛАЯНЦ.**

• • •

**НА СНИМКЕ: во время встречи на грузинской земле.**



# НОВИНКИ ТЕХНИКИ

### ОБЛЕГЧАЕТ ПОИСК

В ФРГ разработан специализатор, который облегчит поиск пожарного, получившего травму при выполнении боевой задачи. Сигнализатор массой 250 г. вмонтирован в корпусе размером 12x7x3 см. и крепится на поясе. Если пожарный находится в неподвижном состоянии более 20 сек. прибор автоматически подает сначала периодический сигнал. Продолжительность работы прибора от одной батареи питания (с напряжением 9 В) — 10 часов при подаче аварийного сигнала и 500 часов в нормальном режиме.

**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის წევრი, ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი**

**ოთარ ისიდორეს ძე ბიბინეიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

ინდექსი 66689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ:
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე 09250